საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების ეროვნული პროფესიული საბჭოს

სხდომის ოქმი

16 ივნისი, 2011

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სხდომის დღის წესრიგი:

1. პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების პოლიტიკის განხილვა - დავით კერესელიძე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
2. პროფესიული განათლების დაფინანსების პოლიტიკა - ლაშა საღინაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი;
3. პროფესიული განათლების საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია - დავით კერსელიძე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
4. ეროვნული პროფესიული საბჭოს კარიერის დაგეგმვის თამატური ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები - ნიკა ჩაჩხიანი, USAID-ის პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი.
5. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედურის სტრატეგია 2009-2012) შესატანი ცვლილებები - თამარ სამხარაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;
2. ეკატერინე გაბუნია - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
3. შორენა ჯაფარიძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;
4. გიორგი ავალიანი - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;
5. დავით მჭედლიშვილი - პროფესიული კოლეჯის "ახალი ტალღა" დირექტორი;
6. ირაკლი პეტრიაშვილი - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე;

7. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აისის"დირექტორი;
8. მამია ჯანჯალია - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აიტის"დირექტორი;
9. ლალი ებანოიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
10. დავით კერესელიძე - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
11. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
12. თამარ სამხარაძე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი; საბჭოს სამდივნოს წევრი.
13. მაკა კურდღელია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
14. ანი ქიტიაშვილი - პროფესიული განათლების საბიუჯეტო მხარდაჭერის პროგრამის ექსპერტი;
15. მაკა კურდღელია - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
16. ანა მჭედლიშვილი - განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი და პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
17. ლაშა საღინაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი
18. ნიკა ჩაჩხიანი - USAID
19. Claus Nue Moller – Senior Labour Market and VET Consultant Team Leader, Monitoring the Implementation by the GOG of the VET SPSP program

საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ირინე ქურდაძე, რომელმაც დამსწრე აუდიტორიას გადაუხადა მადლობა მობრძანებისთვის და გააცნო დღის წესრიგი. დამსწრე აუდიტორია დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებლ საკითხებს.

სსიპ განათლების ხარისხსის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ - დავით კერესელიძემ ისაუბრა პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების პოლიტიკიზე. დავით კერესელიძემ წარმოადგინა სადღეისოდ არსებული მდგომარეობა პროფესიულ განათლებაში ხარისხის განვითარების კუთხით (შიდა და გარე მექანიზმები). მან აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში ყოველწლიურად უნდა იქნეს წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ. ეს მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს, რადგან დაწესებულებას თვითშეფასების გზით შეუძლია ახალი პროგრამის დანერგვა ან პროგრამის მოდიფიცირება.

ბ-ნი დავით კერესელიძის თქმით, სტატისტიკის მიხედვით, დღესდღეობით, წარმოდგენილია 1017 საგანმანათლებლო პროგრამა. თვითშეფასება წარმოებს არედიტაციის 5 სტანდარტის მიხედვით, პროცედურის ბერკეტს წარმოადგენს თვითშეფასების ანგარიშის ფორმა. პროცედურის მიმდინარეობა მოიცავს, თვითშეფასებას და მის გარე დადასტურებას. გარე პროცედურა, არის გადამოწმება ცენტრის მხრიდან. გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო. ხარისხის განვითარების მექანიზმები: ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც შედგება 5 დოკუმენტისაგან; პროფესიული სტანდარტი (დღეისათვის 210 პროფესიული სტანდარტი არის დამტკიცებული და მოქმედებს); კრედიტების გაანგარიშების წესი; ჩარიცხვისა და წინმსწრები განათლების აღიარების წესი.

ქ-ნმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ის არის ხარისხის ექსპერტი და მადლობა გადაუხადა ბ-ნ. დავით კერესელიძეს გაწეული საქმიანობისათვის და ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრომ მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოიჩინოს შიდა მექანიზმების წარმოდგენაზე.

დავით კერესელიძემ აგრეთვე აღნიშნა, რომ მნიშნველოვანი იყო პროფესიული განათლების სფეროში საინფორმაციო და სარეკლამო კამპანია, რაც აამაღლებს იმიჯისა და მიმზიდველობის დონეს. მან განაცხადა, რომ ცენტრის მხარდაჭერით ძალიან საინტერესო გადაცემაა მომზადებული პროფესიულ განათლებაზე. სარეკლამო კამპანია მიმდინარეობს ტელევიზიითაც. ამ პროცესში სახელმწიფოს გარდა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მონაწილეობდა.

ეროვნული პროფესიული საბჭოს კარიერის დაგეგმვის თამატური ჯგუფის ხელმძღვანელმა, ბ-ნმა ნიკა ჩაჩხიანმა, წარმოადგინა თემატური ჯგუფის ანგარიში და რეკომენდაციები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის საბიუჯეტო სამმართველოს უფროსმა - ლაშა საღინაძემ ისაუბრა პროფესიული განათლების დაფინანსების პოლიტიკაზე.

ბ-ნმა ლაშამ წარმოადგინა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 აპრილის №187 და №188 დადგენილებები. №188 დადგენილებით განისაზღვრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებეში პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და პროფესიულ სტუდენტთა დაფინანსების წესი. ხოლო, №187 დადგენილებით განისაზღვრა 2011-2012 სასწავლო წლისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე IV-V საფეხურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის საფასურისა და ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სახელმწიფო დაფინანსების წესი. ლაშა საღინაძემ ასევე ისაუბრა პრიორიტეტული საგანმანათლებლო პროგრამების და მათი დაფინანსების ზღვრული ოდენობის შესახებ, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №267 ბრძანებით დამტკიცდა.

პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს თანამშრომელმა, თამარ სამხარაძემ წარმოადგინა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიაში (პროფესიული განათლების შუალედურის სტრატეგია 2009-2012) განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ. ქ-ნმა თამარმა აღნიშნა რომ ცვილებების განხორციელება არ გამოიწვევს სტრატეგიის ძირითადი არსის შეცვლას. ამავე დროს, საბჭოს წევრებს სთოხვა კიდევ ერთხელ გადახედონ სტრატეგიის განახლებულ ვერსიას და წარმოადგინონ მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარე:
ირინე ქურდაძე

სხდომის მდივანი:
ანა მჭედლიშვილი